



დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანი უფლებების ოფისი

საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა
წარდგენისა და დანიშვნის მეოთხე ანგარიში

2021 წლის აგვისტო

ეუთოს/ODIHR-ის ანგარიში



ვარშავა

შესავალი

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი(ODIHR) ორგანიზაციის წევრებსა და სამოქალაქო საზოგადოებას მხადაჭერას უწევს და უზიარებს ექსპერტულ ცოდნას დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების, შემწყნარებლობის და დისკრიმინაციის აღმოფხვრის ხელშეწყობის მიზნით. ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა ვალდებულება აიღეს უზრუნველყოთ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა, როგორც „*კანონის უზენაესობის წინაპირობა[...]* და *სამართლიანი სასამართლო პროცესის ფუნდამენტური გარანტია.*“¹ მოსამართლეთა შერჩევის სანდო პროცესის დაწესება სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის ძირითადი შემადგენელი ნაწილია.

2019 წელს ODIHR-მა განახორციელა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ნახევრის წარდგენისა და დანიშვნის პროცესის მონიტორინგი საქართველოს სახალხო დამცველის (ომბუცმენის) თხოვნის საფუძველზე. თავისი მონიტორინგის შედეგები ODIHR-მა ორ ანგარიშში წარმოადგინა, რომლებშიც გადმოცემული იყო აღნიშნული პროცესის დამოუკიდებელი შეფასება და მისი შესაბამისობა ქვეყნის შიდა კანონმდებლობასთან, ეუთოს ვალდებულებებთან, საერთაშორისო სტანდარტებთან და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის სახელმძღვანელო პრინციპებთან.² აღნიშნულ შეფასებებში მოცემული დასკვნის მიხედვით, მიუხედავად იმისა რომ განხორციელებული სამართლებრივი რეფორმები, რომლებიც არეგულირებენ საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნას, მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო საქართველოში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, რეალურად მათ ვერ მოახდინეს მიუკერძოებელი, დამსახურებებზე დაფუძნებული პროცესის უზრუნველყოფა, რომელიც დაცული იქნებოდა გარე ზეგავლენებისგან.

¹ იხილეთ [ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის \(CSCE\) მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლების 1986 წლის ვენის შეხვედრის დასკვნითი დოკუმენტი](#) (ვენის დოკუმენტი, 1989 წ.), [CSCE-ის ადამიანური განზომილების სფეროში კონფერენციის კოპენჰაგენის დოკუმენტი](#) (კოპენჰაგენის დოკუმენტი, 1990წ.), [პარიზის ქარტია ახალი ევროპისთვის](#) (პარიზი, 1990წ.), [CSCE-ის ადამიანური განზომილების სფეროში კონფერენციის მოსკოვის შეხვედრის დოკუმენტი](#) (მოსკოვის დოკუმენტი, 1991წ.) და [ბრიუსელის დეკლარაცია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემების შესახებ](#) (2006 წლის 5 დეკემბრის MC.DOC/4/06)

² იხილეთ ეუთოს/ODIHR-ის [ანგარიში საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის პირველი ფაზის შესახებ](#), 2019 წლის ივნისი-სექტემბერი (2019 წლის 10 სექტემბერი); ეუთოს/ODIHR-ის [მეორე ანგარიში საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის შესახებ](#), 2019 წლის ივნისი-დეკემბერი (2020 წლის 9 იანვარი).

2020 წლის ნოემბერში საქართველოს სახალხო დამცველმა ODIHR-ი მოიწვია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დარჩენილ ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატების წარდგენისა და დანიშვნის პროცესის მონიტორინგის გასაგრძელებლად. ODIHR-ის მონიტორინგის ჯგუფმა, რომელიც ორი ადგილობრივი დამკვირვებლისა და ერთი საერთაშორისო დამკვირვებლისგან შედგებოდა, საქმიანობა 2020 წლის 7 დეკემბერს დაიწყო და განახორციელა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე ყველა კანდიდატის გასაუბრებისა და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყველა სხდომის მონიტორინგი, ისევე როგორც პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში (იურიდიული კომიტეტი) გამართული კანდიდატების მოსმენებისა და ამასთან დაკავშირებული ყველა სდომისა და პარლამენტში კანდიდატებისთვის საბოლოო კენჭისყრის მონიტორინგი. მონიტორინგის ჯგუფის წევრები მკაცრად იცავდნენ ეუთოს/ODIHR-ის მონიტორინგის დადგენილ პრინციპებს, როგორებიცაა: ჩაურევლობა, მიუკერძოებლობა, ობიექტურობა, კონფიდენციალურობა და პროფესიონალიზმი. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ და პარლამენტმა უზრუნველყვეს ODIHR-ის დამკვირვებელთა დაუბრკოლებელი დაშვება სხდომებზე პროცესზე დაკვირვების მიზნით.

2021 წლის 9 ივლისს ODIHR-მა გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც შეფასებული იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა შერჩევის პროცესის პირველი ფაზა, რის შედეგადაც დასახელდა ცხრა კანდიდატი პარლამენტის წინაშე წარსადგენად.³ მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე ანგარიშის მიზანს წარმოადგენს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის მთელი პროცესის ყოვლისმომცველი შეფასება და აქედან გამომდინარე რეკომენდაციების წარმოდგენა, წინამდებარე ანგარიშში ყურადღება ძირითადად გამახვილებულია აღნიშნული პროცესების საპარლამენტო ეტაპზე და შესაბამისად მისი წაკითხვა უნდა მოხდეს მანამდე გამოქვეყნებულ ანგარიშთან ერთად პირველი ფაზის შესახებ.

მოკლე შინაარსი

2021 წლის ივლისში პოლიტიკური კრიზისისა და ოპოზიციის უდიდესი უმრავლესობის მხრიდან ბოიკოტის პირობებში, საქართველოს პარლამენტმა ექვსი მოსამართლე უვადოდ დანიშნა მოსამართლის თანამდებობებზე ქვეყნის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოში. 2020 წლის ოქტომბრიდან დაწყებული უზენაესი სასამართლოს ამ ახალი მოსამართლეების შერჩევის, წარდგენისა და დანიშვნის ხანგრძლივ პროცესზე სასარგებლო გავლენა მოახდინა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერების მიზნით განხორციელებულმა ღონისძიებებმა,

³ ODIHR-ის, [მესამე ანგარიში საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის შესახებ](#), 2020 წლის დეკემბერი – 2021 წლის ივნისი

რომლებსაც საქართველოს პარლამენტი თანმიმდევრულად ახორციელებდა 2019 წლიდან, თუმცა საერთო ჯამში აღნიშნულ პროცესებს ხელს უშლიდა თანასწორი პირობების არარსებობა და პროცესში არსებული ის ხარვეზები, რომლებიც საბოლოო ჯამში ეჭვის ქვეშ აყენებდა აღნიშნული დანიშვნების სანდოობას, იმასთან დაკავშირებით რომ ეს დანიშვნები ნამდვილად დამსახურებებზე იყო დაფუძნებული და განხორციელდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. უფრო მეტიც, აღნიშნული კანონი არ ითვალისწინებს ეფექტურ პრევენციულ ღონისძიებებს მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში არასათანადო პოლიტიკური გავლენების გამოსარიცხად, ამასთან ერთის მხრივ პოლიტიკური მხარდაჭერის მოსაპოვებლად გაწეული ძალისხმევის სიმწირემ, მეორეს მხრივ კი, პარლამეტში ნაჩქარევად, დებატების გარეშე ჩატარებულმა განხილვებმა ნამდვილად ვერ შეუწყო ხელი არსებული პრობლემების შემცირებას, ან საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას.

როგორც დეტალურადაა აღწერილი ODIHR-ის 2021 წლის ივლისის ანგარიშში კანდიდატების წარდგენის ფაზის შესახებ, პროცესის გადადების თაობაზე საპარლამენტო გადაწყვეტილების არარსებობის პირობებში, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განაგრძო პროცესი და დასამტკიცებლად წარუდგინა კანდიდატები პარლამენტს. თანმიმდევრული საკანონმდებლო ცვლილებების ორი პაკეტის მიღებამ, საბოლოო ჯამში ხელი შეუწყო კანდიდატების წარდგენის ეტაპის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებას. მათ შორის, საიდუმლო კენჭისყრის გაუქმებამ, ახალმა მოთხოვნამ საჯარო და დასაბუთებული გადაწყვეტილებების თაობაზე კანდიდატების ქულებით შეფასებისა და ხმის მიცემის დროს და ამასთან გასაჩივრების შესაძლებლობების შექმნამ. თუმცა მაღალი გამჭვირვალობის მიუხედავად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კანდიდატების მოსმენის პროცესს, ხელს უშლიდა კანდიდატებისთვის განსხვავებული პირობების შექმნა, ქვევის ეტიკეტის დარღვევა, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არსებული შიდა დაპირისპირებები და სერიოზული პრობლემები ინტერესთა კონფლიქტთან მიმართებაში. ამ პროცესების შემდეგ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ პარლამენტს განსახილველად წარუდგინა ცხრა კანდიდატი, რომელთაგანაც ყველა მოქმედი მოსამართლე იყო, მათ შორის მხოლოდ ორი იყო ქალი.

მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატების დანიშვნის საპარლამენტო ეტაპი იძლეოდა პროცესზე საზოგადოებისა და კანდიდატების მხრიდან კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას, მაინც არ იყო სათანადოდ გარანტირებული ის, რომ კანდიდატთა საბოლოო შერჩევა მოხდა ობიექტური, დამსახურებაზე დაფუძნებული კრიტერიუმების გამოყენებით. მოქმედ სამართლებრივ ნორმაში კვლავაც არ არის პრევენციის მექანიზმი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის პოლიტიზირების თავიდან ასაცილებლად, რადგანაც იგი პარლამენტს ანიჭებს ქმედებების სრულ თავისუფლებას დაამტკიცოს, ან უარყოს რომელიმე კანდიდატი არსებითი დასაბუთების წარდგენისა და დადგენილი კრიტერიუმების დაცვის გარეშე, რაც კიდევ უფრო მეტ საფრთხეს უქმნის სასამართლო სისტემის

დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას და საერთაშორისო ნორმების დარღვევას წარმოადგენს. თითქმის სრული ოპოზიციის ბოიკოტმა და მანამდე მიღწეული შეთანხმების ფონზე გაუთვალისწინებელმა მოწოდებებმა პროცესის გადადების შესახებ, არ შეამცირა არსებული პრობლემები მოსამართლეთა დანიშვნების შესაძლო პოლიტიზირებასთან დაკავშირებით.

მოსმენები საპარლამენტო კომიტეტში, რომლებიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან კანდიდატების სიის მიღებიდან მალევე-6 ივლისს დაიწყო, სტრუქტურულად კარგად იყო გამართული და ზოგადად ტექნიკურ ასპექტებში, საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად წარიმართა, თუმცა ამ მოსმენების პოლიტიკურმა ელფერმა და კომიტეტის წევრების მხრიდან აღნიშნული პროცესების მიმართ გამომჟღავნებულმა ყურადღების ნაკლებობამ ნეგატიური გავლენა იქონია პროფესიონალიზმისა და ობიექტურობის აღქმაზე. ოპოზიციის ბოიკოტის ფონზე მოსმენები ჩატარდა ძირითადად მმართველი პარტიის მიერ. აღნიშნული მოსმენები გადაიცემოდა ტელევიზიით პირდაპირი ეთერის საშუალებით და ღია იყო საზოგადოებისთვის, რაც დადებითი მოვლენაა და კანდიდატების ყურადღებით მოსმენისა და შეფასების შესაძლებლობას ზრდის. ამას გარდა, კომიტეტმა მოიწვია სამოქალაქო და იურიდიული საზოგადოების წარმომადგენლები კანდიდატებისთვის კითხვების დასასმელად, რამაც გარკვეული წვლილი შეიტანა აღნიშნული პროცესების ხარისხში.

კენჭისყრაში მონაწილე კომიტეტის თერთმეტმა წევრმა, რომელთაგან მხოლოდ ერთი იყო ქალი, ხმათა უმრავლესობით მხარი დაუჭირა ცხრა კანდიდატიდან ექვსს და დანარჩენი სამი კანდიდატის წინააღმდეგ მისცა ხმა. მმართველი პარტიის ათმა წევრმა კი ხმა მისცა ერთი და იგივე კანდიდატებს. კომიტეტის მიერ პლენარულ სხდომაზე წარმოდგენილ ანგარიშში ასახული არ იყო არგუმენტები იმის შესახებ, თუ რის საფუძველზე დაუჭირეს, ან არ დაუჭირეს მხარი კანდიდატებს, რამაც ეჭვები გამოიწვია იმასთან დაკავშირებით, ემყარებოდა თუ არა მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები მხოლოდ და მხოლოდ ობიექტურ კრიტერიუმებს. იმ ფაქტმა, რომ კომიტეტის მიერ სამი უარყოფილი კანდიდატიდან ორი იყო ქალი, რომლებსაც უფრო მაღალი შეფასებები ჰქონდათ მიღებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან ვიდრე, ზოგიერთ იმ კანდიდატს, რომლებსაც მხარი დაუჭირა და ამასთან კომიტეტმა არ წარმოადგინა არგუმენტაცია აღნიშნულის ასახსნელად, ეჭვის ქვეშ დააყენა კანდიდატების დამსახურებებზე დაფუძნებული შერჩევა.

ყოველივე იმის მიუხედავად, რომ 12 ივლისს გაიმართა სამოქალაქო პროტესტი, რომელიც ამ პროცესებთან არ იყო კავშირში, რომელმაც ჩაშალა პლენარული სხდომა და რომელსაც ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა, იმავე დღეს ჩაინიშნა პარლამენტში მოსამართლეთა კანდიდატებისათვის საბოლოო კენჭისყრა, იმ სამართლებრივი მოთხოვნის საპირისპიროდ, რომლის მიხედვითაც, პლენარულ სხდომაზე საბოლოო კენჭისყრამდე კანდიდატების შესახებ ღია დისკუსიები უნდა გამართულიყო. თითქმის ყველა ოპოზიციური პარტია ბოიკოტს უცხადებდა კენჭისყრას, მათ შორის

ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტია. პარლამენტართა ნახევარზე ოდნავ მეტი იღებდა კენჭისყრაში მონაწილეობას. დამსწრე პარლამენტარებმა ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს ექვსი მოსამართლის კანდიდატურა და უარყვეს დარჩენილი სამი, რომლებმაც მხოლოდ სიმბოლური მხარდაჭერა მიიღეს. მმართველი პარტიის გადაწყვეტილებამ გაეგრძელებინა პროცესები იმ პირობებში, როცა ოპოზიციის უმრავლესობა არ იღებდა მონაწილეობას, ეჭვის ქვეშ დააყენა პროცესის ინკლუზიურობა და მოსამართლეთა დანიშვნების სანდოობა, ასევე შექმნა საზოგადოების ნდობის შემცირების საფრთხე.

ყველა დანიშნული მოსამართლე მამაკაცი იყო, რაც საფრთხეს უქმნიდა სამართლიანი გენდერული წარმომადგენლობითობის პრინციპს. უზენაეს სასამართლოში ახალი მოსამართლეების დანიშვნამდე პარიტეტი თითქმის დაცული იყო (47 პროცენტი ქალი). მოსამართლეთა დანიშვნის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებების მიღების არასაკმარისმა გამჭვირვალობამ წუხილი გამოიწვია იმასთან დაკავშირებით, მოხდა თუ არა ყველაზე ღირსეული კანდიდატების შერჩევა ქვეყნის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოსთვის, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო მეტ საფრთხეს უქმნის სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას.

საქართველომ ბოლო ორი წლის განმავლობაში უზენაესი სასამართლოს 20 მოსამართლე დანიშნა უვადო თანამდებობაზე, ODIHR-ის შეფასებით აღნიშნულ პროცესებს აკლდა კეთილსინდისიერება, ობიექტურობა და სანდოობა. სასამართლო სისტემისადმი საზოგადოებრივი ნდობის აღსადგენად და მისი დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და ხარისხის უზრუნველსაყოფად საქართველოს მთავრობას დაჟინებით მოუწოდებენ გადადოს მოსამართლეთა შემდგომი დანიშვნები უმთავრესი რეფორმების გატარებამდე. ამ მიმართულებით წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც ეფუძნება 2019 წლიდან მოყოლებული ODIHR-ის მონიტორინგის დასკვნებს და რომელთა მიზანს წარმოადგენს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესის გაძლიერება და მისი შესაბამისობაში მოყვანა შიდა კანონმდებლობასთან, საერთაშორისო სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან.

კანდიდატების წარდგენის პროცესის მიმოხილვა და ზოგადი ვითარების აღწერა

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების საპარლამენტო დანიშვნებს წინ უსწრებდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების წარდგენის ხანგრძლივი, რთული და წინააღმდეგობრივი ეტაპი, რომელიც 2020 წლის ოქტომბრიდან 2021 წლის ივნისამდე გაგრძელდა და რომლის შედეგადაც პარლამენტს განსახილველად ცხრა კანდიდატი წარედგინა. როგორც დეტალურადაა გადმოცემული ODIHR-ის მიერ აღნიშნული პროცესის მონიტორინგის დასკვნაში, მიუხედავად იმისა, რომ იყო

გაუმჯობესება მრავალ მნიშვნელოვან ასპექტში, განსაკუთრებით გამჭვირვალობასთან დაკავშირებით, აღნიშნულ პროცესებისთვის მაინც ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა პოლიტიკური არასტაბილურობისა და უნდობლობის გარემო, მუდმივად ცვალებადი საკანონმდებლო ბაზა და დაბრკოლებები სამართლიანობისა და კანდიდატებისთვის თანასწორი პირობების უზრუნველყოფის კუთხით.⁴

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების წარდგენა მოხდა ევროკავშირის შუამავლობით 2021 წლის 19 აპრილს გაფორმებული შეთანხმების მიუხედავად, რომელსაც მმართველმა პარტიამ და ოპოზიციის ნაწილმა მოაწერეს ხელი და რომელიც შემდეგ პირობებს მოიცავდა: უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის მიმდინარე პროცესის გადადება; კანდიდატების შერჩევის პროცესის შემდგომი რეფორმირება ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად⁵ და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირება, ორგანოსი რომელიც მთელს სასამართლო სისტემას ზედამხედველობს.⁶ პროცესის გადადების თაობაზე პარლამენტის მიერ გადაწყვეტილების არმიღების ფონზე და 2020 წლის ოქტომბერში უზენაეს სასამართლოში პირველ ცხრა ვაკანსიაზე კანდიდატების შერჩევის პროცესის დაწყებით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განაგრძო კანდიდატების წარდგენის პროცესი კანდიდატების შერჩევის ორ უკვე მიმდინარე პროცესის პარალელურად (თითოეული მიმდინარეობდა უზენაესი სასამართლოს ერთი მოსამართლის შესარჩევად).

სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო დამკვირვებლების, მათ შორის ვენეციის კომისიისა და ODIHR-ის დაჟინებულ მოწოდებებს საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების თაობაზე, რომელიც არეგულირებს საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის პროცესს, შედეგად მოჰყვა მოქმედ

⁴ იხილეთ ODIHR-ის [მესამე ანგარიში საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის შესახებ](#), 2020 წლის დეკემბერი – 2021 წლის ივნისი.

⁵ ევროპის საბჭოს ევროპული კომისია დემოკრატიისთვის სამართლის მეშვეობით (ვენეციის კომისია) [გადაუდებელი დასკვნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევასა და დანიშვნასთან დაკავშირებით](#), რომელიც 16 აპრილს გამოქვეყნდა და 2019 წლის 21-22 ივნისს დამტკიცდა ვენეციის კომისიის მიერ.

⁶ სხვა ვალდებულებებთან ერთად [ურთიერთგაგების მემორანდუმში](#) მოიცავდა: 1) უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის შესახებ კანონპროექტის მიღებას, რომელშიც სრულად იქნებოდა გათვალისწინებული ვენეციის კომისიის 2019 წლის სამართლებრივი დასკვნა 2) ახალი კანონმდებლობის მიღებამდე ყველა მიმდინარე დანიშვნის გადადება და 3) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირების მიზნით გარკვეული ღონისძიებების შემუშავება, რომლებიც მიმართული იქნება გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ანგარიშვალდებულების გასაუმჯობესებლად და რომლებსაც, მხარეების შეთანხმებისამებრ, საბოლოოდ ვენეციის კომისიისა და ეუთო/ODIHR-ს წარუდგენენ განსახილველად და შესაფასებლად. ურთიერთგაგების მემორანდუმში ითვალისწინებდა ახალი კანონპროექტის შემუშავებასა და მიღებას 2022 წლის გაზაფხულის საპარლამენტო სესიაზე.

კანონმდებლობაში მთელი რიგი ცვლილებები, რომლებიც 2019, 2020 წლის სექტემბერსა და 2021 წლის აპრილში განხორციელდა. აღნიშნულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა პროცესი მნიშვნელოვნად გააუმჯობესა გამჭვირვალობისა და სამართლიანობის კუთხით. მათ შორისა, საიდუმლო კენჭისყრის გაუქმება და ახალი მოთხოვნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიმართ, წერილობითი ფორმით წარმოედგინათ არგუმენტირებული დასაბუთება ქულების მინიჭებისა და კანდიდატების შეფასების პროცესში მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე, აგრეთვე მიღებულ იქნა კანდიდატების წარდგენის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება. მიუხედავად ამისა, საკანონმდებლო ბაზაში დარჩა გარკვეული ნაკლოვანებები, რომლებიც 19 აპრილის შეთანხმების თანახმად, პარლამენტს უნდა აღმოეფხვრა აღნიშნული პროცესის გაგრძელებამდე. უფრო მეტიც, იმ დროისთვის როცა მოხდა 2021 წლის საკანონმდებლო ცვლილებების მიღება, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უკვე ჩატარებული ჰქონდა კანდიდატების ნახევარზე მეტის მოსმენა არსებული ცხრა ვაკანსიისთვის, მაგრამ მაინც გადაწყვიტეს რომ პროცესი თავიდან არ დაეწყო. როგორც ვენეციის კომისიის სამართლებრივ დასკვნაშია აღნიშნული, სწორედ ამან გამოიწვია სერიოზული შეშფოთება კანდიდატების მიმართ თანასწორ მოპყრობასთან დაკავშირებით.⁷

საერთო ჯამში პოზიტიურმა ცვლილებებმა, რომლებიც საკანონმდებლო ცვლილებების მეშვეობით განხორციელდა, გააუმჯობესა მოსამართლეების დანიშვნის პროცესი, თუმცა დარჩა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლებმაც შეასუსტა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე პროცესების სამართლიანობა. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ვერ უზუნველყო კანდიდატების შერჩევის პროცესის საყოველთაობა და ინკლუზიურობა, რასაც შედეგად მოჰყვა შეზღუდვა კანდიდატთა საერთო რაოდენობაში. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გარკვეული ღონისძიებები განახორციელა, რათა მომხდარიყო 43 კანდიდატის მოსმენებზე საზოგადოებრივი წვდომის უზრუნველყოფა. წახალისების მიზნით აღნიშნული მოსმენები ჩაიწერეს და ონლაინ იყო შესაძლებელი მათი ნახვა. სამწუხაროდ, იმ პირობებში როცა გასაუბრებებთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ არ იყო დადგენილი მკაფიო სტანდარტები და სახელმძღვანელო მითითებები, აღნიშნული გასაუბრებების ჩატარების პროცესში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი სხვაობა მათ ხანგრძლივობაში, სტრუქტურასა და საერთო ატმოსფეროში, რამაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ამ პროცესში კანდიდატებისთვის გათვალისწინებული თანასწორობა. გარდა ამისა, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არსებული შიდა წინააღმდეგობები, წევრებსა და ზოგიერთ კანდიდატს შორის მტრული შელაპარაკებები, ზიანს აყენებდა

⁷ ევროპის საბჭოს ევროპული კომისია დემოკრატიისთვის სამართლის მეშვეობით (ვენეციის კომისია) [გადაუდებელი დასკვნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევისა და დანიშვნასთან დაკავშირებით](#). რომელიც 16 აპრილს გამოქვეყნდა და 2019 წლის 21-22 ივნისს დამტკიცდა ვენეციის კომისიის მიერ.

პროცესების პროფესიონალურ დონეზე ჩატარებას. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი მონაწილე წევრის მიერ ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დარღვევა აგრეთვე საფრთხეს უქმნიდა კანდიდატთა წარდგენის პროცესის სამართლიანობას.

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად კანდიდატების წარდგენის პროცესში ქულების მინიჭების, რანჟირებისა და საბოლოო კენჭისყრის პროცედურების შეცვლამ, საერთო ჯამში მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პროცესის გამჭვირვალობა. კანდიდატების მოსმენის შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონაწილე წევრებმა თითოეული კანდიდატის შესახებ წერილობითი დასაბუთება წარადგინეს მათ მიერ შევსებული ქულებით შეფასების ფორმებთან ერთად. შემდეგ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ყველა ეს ფორმა თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა, რომლებზეც შესაბამისი შემფასებლის სახელები და გვარები იყო მითითებული. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ წერილობით დასაბუთებებს შორის დიდი სხვაობა იყო, საერთო ჯამში ახლად გატარებულმა ღონისძიებებმა გააუმჯობესა ანგარიშვალდებულება და გააძლიერა კანდიდატების გასაჩივრების უფლება. წევრების მიერ დაწერილი ქულებისა და შეფასების საფუძველზე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოახდინა კანდიდატების რანჟირება, და შემოკლებულ სიაში შეიყვანა ცხრა კანდიდატი, შემდეგ კი აღნიშნული სია გამოაქვეყნა საბჭოს ვებგვერდზე. იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გამართული ღია კენჭისყრის შედეგად ცხრავე კანდიდატი დაამტკიცეს პარლამენტის წინაშე წარსადგენად. გამჭვირვალობის მხრივ კიდევ ერთი გაუმჯობესების შედეგად და ახალი საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, საბჭოს თითოეულმა წევრმა წარმოადგინა ყოველი კანდიდატის წარდგენის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ ხმის მიცემის თავისი წერილობითი დასაბუთება. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 17 ივნისს წარადგინა პარლამენტში კანდიდატების სია წერილობით დასაბუთებებთან და კანდიდატების კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ არსებულ მონაცემებთან ერთად.

პოლიტიკური ოპოზიცია, სამოქალაქო საზოგადოება და საერთაშორისო თანამეგობრობა აკრიტიკებდა კანდიდატების წარდგენის პროცესის დასრულებას და კვლავაც მოუწოდებდა პარლამენტს მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის შემდგომი ეტაპები გადაედოთ ვიდრე, 19 აპრილის შეთანხმების შესაბამისად, შემდგომი სამართლებრივი რეფორმა არ განხორციელდებოდა.⁸ მმართველმა პარტიამ დაიცვა კანდიდატების წარდგენის პროცესი, ამტკიცებდა რა, რომ მანამდე განხორციელებული რეფორმებით მოხდა ამ პოლიტიკური შეთანხმება შესრულება და აგრეთვე არგუმენტად მოჰყავდა ის რომ, მთავარ ოპოზიციურ პარტიას ჯერ კიდევ არ

⁸ იხილეთ ოპოზიციური პარტიების განცხადებები: [ერთიანი ნაციონალური მოძრაობა](#); [სტრატეგია და ლელო](#); [კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის](#), ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, [საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსა](#) და [მოძრაობა სირცხვილიას](#) განცხადებები და განცხადებები, რომლებიც სხვა დიპლომატიური თანამეგობრობის წევრებთან ერთად გამოსცა [ამერიკის საელჩომ](#) და [ევროკავშირის წარმომადგენლობამ საქართველოში](#).

ჰქონდა ხელი მოწერილი აღნიშნულ შეთანხმებაზე.⁹ შეთანხმების მიხედვით მის მიერ აღებული ვალდებულებების საპირისპიროდ პარლამენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან წარდგენილ კანდიდატთა სიის მიღებიდან მალევე განაგრძო მოსამართლეთა დანიშვნის მომზადება.

საკანონმდებლო ბაზა

მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ბაზაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა კანდიდატების წარდგენის ფაზასთან დაკავშირებით აღნიშნული ფაზის განხორციელებამდე და განხორციელების პროცესში, კანონის ის დებულებები, რომლებიც არეგულირებს პარლამენტის მიერ კანდიდატების დამტკიცების ეტაპს, 2019 წელს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნების შემდეგ არ შეცვლილა.¹⁰ აქედან გამომდინარე, კვლავ აქტუალურია ის პრობლემები, რომლებიც მანამდე აისახა ODIHR-ის სამართლებრივ დასკვნასა და მონიტორინგის ანგარიშებში.¹¹ არსებული კანონის მიხედვით, პარლამენტის იურიდიული კომიტეტი ადგენს წარდგენილ კანდიდატი „შეესაბამება თუ არა კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მიერ დადგენილ მოთხოვნებს“, მათ შორის კანდიდატებთან საჯარო ინდივიდუალური გასაუბრებების ჩატარების მეშვეობით და პლენარულ სხომაზე გასაუბრებების შედეგების წარდგენით. ის კანდიდატები, რომლებიც დეპუტატების ხმათა უმრავლესობას მიიღებენ, უზენაეს სასამართლოში უვადოდ ინიშნებიან მოსამართლეების თანამდებობაზე. ამ კანონის ბუნდოვანება და კანდიდატების შესარჩევად სათანადო კრიტერიუმების არარსებობა, იურიდიულ კომიტეტსა და პლენარულ სხდომას სრულ დისკრეციას ანიჭებს არგუმენტირებული დასაბუთების გარეშე ხმა მისცეს ნებისმიერი კანდიდატის სასარგებლოდ, ან წინააღმდეგ.

მოქმედი კანონმდებლობის შეფასებისას ODIHR-ის 2019 წლის სამართლებრივი დასკვნის მთავარი გამოვლენილი ხარვეზი იყო ის, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის პოლიტიზირების თავიდან ასაცილებლად პრევენციის მექანიზმის არარსებობამ, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას საქართველოში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.¹² მაგალითად, ერთი ასეთი მექანიზმი შესაძლოა იყოს პარლამენტის როლის მკვეთრი შეზღუდვა ისე, რომ მას ევალუოდეს ზედამხედველობა არსებულ პროცედურებთან შესაბამისობაზე და არა იმის იმის საკუთარ თავზე აღება, რაც რეალურად კანდიდატების

⁹ იხილეთ 23 ივნისის მმართველი პარტიის-ქართული ოცნების [განცხადება](#) და 24 ივნისის საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის [განცხადება](#).

¹⁰ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის საპარლამენტო პროცესს არეგულირებს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ და პარლამენტის რეგლამენტი.

¹¹ ეუთო/ODIHR, ეუთო/ODIHR, [დასკვნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის თაობაზე ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით](#), 17 აპრილი 2019 წ.

¹² ეუთო/ ODIHR, ეუთო/ODIHR, [დასკვნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის თაობაზე ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით](#), 17 აპრილი 2019 წ., პარაგრაფ.: 13 და 82–84.

კეთილსინდისიერებისა და კომპეტენციის ხელახლა შეფასებას წარმოადგენს.¹³ კანონმდებლობაში ამჟამად არაა მოცემული მსგავსი შეზღუდვა, ან სხვა გარანტია საპარლამენტო ეტაპის სრული ობიექტურობისა და ღირსებებზე დაფუძნებული პროცესის უზრუნველსაყოფად, რაც მოუგვარებელს ტოვებს არასათანადო პოლიტიკური გავლენის საფრთხეს საქართველოს უმაღლესი ინსტანციის სასამართლოში.

მოსმენების მომზადება და გამჭვირვალობა

17 ივნისს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების 9 კანდიდატის წარდგენის შემდეგ პარლამენტი ნაჩქარევად შეუდგა პროცესის შემდეგი ეტაპის განხორციელებას: პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში კანდიდატების მოსმენას. კომიტეტი 19 პარლამენტარისგან შედგება, ნახევარზე მეტი მმართველი პარტიის წარმომადგენელია;¹⁴ ერთი არსებული ვაკანსიის გამო მოსამართლეთა დანიშვნების დროს მხოლოდ 18 პარლამენტარი იყო იურიდიულ კომიტეტში, რომელთაგანაც მხოლოდ ერთი იყო ქალი. უფრო მეტიც, მოსამართლეების დანიშვნის პროცესის დასაწყისში ორი ოპოზიციური პარტიისა და ერთი დამოუკიდებელი დეპუტატის გარდა ყველამ გადაწყვიტა ამ პროცესისთვის ბოიკოტის გამოცხადება და მოუწოდებდნენ შეეწყვიტათ მოსამართლეთა დანიშვნის პროცესი, რადგანაც ეს 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმების დარღვევას წარმოადგენდა.¹⁵ აღნიშნული ბოიკოტირების შედეგად კომიტეტის 18 წევრი

¹³ Id. იხილეთ აგრეთვე ვენეციის კომისიის [ანგარიში მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ](#) (2007) CDL-AD(2007)028-e, პარაგრ: 10-11; ევროპის საბჭოს (CoE) [მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები წევრი სახელმწიფოებისთვის მოსამართლეების შესახებ: დამოუკიდებლობა, ეფექტურობა და პასუხისმგებლობები](#), 2010 წლის 17 ნოემბერი, პარაგრ. 46-47; [ეუთო/ODIHR-ის 2010 წლის კვივის რეკომენდაციები აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის შესახებ](#), პარაგრ. 8; [1998 წლის ევროპული ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ](#), პარაგრ.1.3; და ევროპული მოსამართლეების საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) [დასკვნა ნომერი 10 \(2007\) მართლმსაჯულების საბჭო საზოგადოების სამსახურში](#), პარაგრ. 48 და რეკომენდაციები D(b); და [დასკვნა ნომერი 18 \(2015\) თანამედროვე დემოკრატიაში მართლმსაჯულების მდგომარეობასა და მის ურთიერთქმედებაზე ხელისუფლების სხვა შტოებთან](#), პარაგრ. 15

¹⁴ საპარლამენტო კომიტეტების წევრობა პროპორციულია ფრაქციების წარმომადგენლობასთან და იმ დეპუტატების რაოდენობასთან, რომლებიც არც ერთი ფრაქციის წევრები არ არიან. აღნიშნული კომიტეტი შედგება 10 ქართული ოცნების და 9 ოპოზიციის წარმომადგენელი პარლამენტარისგან: 3 ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, 1 სტრატეგია აღმაშენებელი, 1 ლელო, 1 ევროპული სოციალისტები, 1 გირჩი და 1 მოქალაქეები; დარჩენილი 1 ადგილი კვლავ ვაკანტურია, იგი განკუთვნილია დამოუკიდებელი/უფრაქციო პარლამენტარისთვის.

¹⁵ ბოიკოტის რეჟიმში მყოფი პარტიების პარლამენტარებმა 29 ივნისს დატოვეს იურიდიული კომიტეტის სხდომა, ეს იყო მოსამართლეების დანიშვნის პროცესის მოსამზადებელი შეხვედრა, იმ მოტივით, რომ არ ენდობოდნენ სასამართლო სისტემას და მოსამართლეთა დანიშვნის პროცესს. იხილეთ მედიის განცხადებები [ერთიანი ნაციონალური მოძრაობის](#), [სტრატეგია აღმაშენებლისა](#) და [ლელოს](#) ბოიკოტის შესახებ და განცხადებები [დამოუკიდებელი დეპუტატის](#) დაგეგმილი ბოიკოტის

დეპუტატიდან მხოლოდ 11 (მათ შორის ერთი ქალი) ესწრებოდა სრულად მოსმენების პროცესს, მათ შორის კენჭისყრას კომიტეტში. მმართველი პარტიის გადაწყვეტილებამ გაეგრძელებინა პროცესები იმ პირობებში, როცა ოპოზიციის უმრავლესობა არ იღებდა მასში მონაწილეობას, ეჭვის ქვეშ დააყენა პროცესის ინკლუზიურობა და მოსამართლეთა დანიშვნების სანდოობა, ასევე შექმნა საზოგადოების ნდობის შემცირების საფრთხე.

29 ივნისს იურიდიულმა კომიტეტმა სამუშაო ჯგუფი შექმნა, როგორც ამას კანონი მოითხოვდა და მას მხოლოდ სამი დღე მისცა იმის დასადასტურებლად, რომ წარდგენილი კანდიდატები აკმაყოფილებდნენ მინიმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის კრიტერიუმებს.¹⁶ პარლამენტმა თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაგზავნილი კანდიდატების განაცხადები და წარდგენილი მონაცემების შემოწმების მასალები, რამაც ხელი შეუწყო პროცესის გამჭვირვალობას. აღნიშნული მასალები ამობეჭდეს და დაურიგეს იმ დეპუტატებს, რომლებიც კანდიდატებს უტარებდნენ გასაუბრებას, თუმცა ამ დეპუტატებს სხვა არანაირი მასალები არ მიუღიათ. მათ შორის, არც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების წერილობითი დასაბუთება, თუ რის საფუძველზე დაუჭირეს, ან არ დაუჭირეს მხარი ამა თუ იმ კანდიდატს კენჭისყრის დროს. მიუხედავად იმისა რომ ეს ინფორმაცია უკვე ატვირთული იყო საბჭოს ვებგვერდზე. აღნიშნულ წერილობით დასაბუთებებს, მიუხედავად მათი ხარისხის განსხვავებულობისა, შესაძლოა მეტი ინფორმაცია მიეწოდებინა დეპუტატებისთვის, რაც დაეხმარებოდათ მოსამართლეთა დანიშვნებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების დროს. ამას გარდა, ის გარემოება, რომ ამჟამად პარლამენტს არ აკისრია ვალდებულება განსაზღვროს რამდენად შეესაბამებიან წარდგენილი კანდიდატები კონსტიტუციითა და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, თანაც არანაირი კვლევა არ ჩატარებიათ კანდიდატების კომპეტენციისა და კეთილსინდისიერების გასარკვევად, რათა დახმარებოდნენ კომიტეტს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ეჭვის ქვეშ აყენებს პროცესის სარწმუნოებას.

მოსმენების ზოგადმა წესებმა, რომლებიც მოსმენების ჩატარებამდე პარლამენტის პროტოკოლის შესაბამისად მიიღეს, პროცესები გარკვეული სტრუქტურითა და

შესახებ. სხვები აკრიტიკებდნენ პროცესს, ბოიკოტს უცხადებდნენ კენჭისყრას, თუმცა ამბობდნენ, რომ სურდათ მოსმენების დროს კანდიდატებისთვის კითხვების დასმა საზოგადოების ინფორმირებულობისთვის. იხილეთ მაგალითად მოქალაქეების [განცხადება](#) და იმ დეპუტატის [განცხადება](#), რომელიც წარმოადგენს პარტიას საქართველოსთვის. [ქართული ოცნების დეპუტატებმა დაიცვეს გადაწყვეტილება](#) პროცესის გაგრძელების შესახებ.

¹⁶ იურიდიული კომიტეტის სხდომაზე ეს ჯგუფი 25 წევრისგან შედგებოდა, მათ შორის 13 მმართველი პარტიის დეპუტატი, 7 ოპოზიციისა და უფრაქციო დეპუტატი, და 5 გარე წარმომადგენელი.

წესრიგით უზრუნველყო.¹⁷ მოსმენებზე დასასწრებად და მათში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი იყვნენ სახალხო დამცველის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, იურიდიული დახმარების სამსახურის, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის (კოალიცია) და აკადემიური წრეების წარმომადგენლები,¹⁸ რაც დადებითი მოვლენაა, რომელიც ხელს უწყობს ინკლუზიურობასა და გამჭვირვალობას, თუმცა სახალხო დამცველმა უარი თქვა პროცესში მონაწილეობის მიღებაზე,¹⁹ ისევე როგორც მთელმა კოალიციამ უარი თქვა დასწრებაზე.²⁰ გარე წარმომადგენლების თანხმობამ ამ პროცესებში ჩართვის თაობაზე, გარკვეული სახის მრავალფეროვნება შემოიტანა მოსმენების პროცესში, განსაკუთრებით ოპოზიციის ბოიკოტის ფონზე.

მოსმენები მაღალი გამჭვირვალობით გამოირჩეოდა, რაც საზოგადოებასა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს საშუალებას აძლევდა შეეფასებინათ კანდიდატების ღირსებები და შესაფერისობა. მოსმენები ღია იყო საზოგადოებისთვის და ჟურნალისტებისთვის, ხოლო დღის წესრიგი, კანონის შესაბამისად წინასწარ, სამი დღით ადრე გამოქვეყნდა.²¹ მოსმენების დარბაზში საკმარისი ადგილი იყო (თუმცა სკამები კოვიდ 19 რეგულაციების შესაბამისად არ იყო განთავსებული) და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთათვისაც იყო შესაძლებელი დასწრება. მოსამზადებელი სხდომების ოქმები პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა, თუმცა არ ხდებოდა მოსმენების ყველა ოქმის გამოქვეყნება, როგორც ამას კანონი მოითხოვდა.²² სხდომები ტელევიზიით გადაიცემოდა ღია ეთერში, კანონის მოთხოვნის შესაბამისად, ასევე ხდებოდა მათი გადაცემა პარლამენტის ვებგვერდისა

¹⁷ კომიტეტმა ერთხმად დაამტკიცა წესები, რაც 2 ივლისის სხდომების ოქმებში აისახა და რომლებიც მოიცავდა დროის კვოტის გამოყოფას კანდიდატებისათვის, რათა წარედგინათ თავიანთი თავი, ასევე საპარლამენტო ფრაქციებისა და გარე მონაწილეთა შეკითხვებისთვის.

¹⁸ პარლამენტის რეგლამენტი ითვალისწინებს იმას, რომ კომიტეტს შეუძლია საზოგადოების წარმომადგენლები მოიწვიოს სხდომებზე დასასწრებად, ასევე შეუძლია მათ სიტყვით გამოსვლის ნება დართოს.

¹⁹ იხილეთ 30 ივნისის [სახალხო დამცველის მიერ გამოქვეყნებული განცხადება](#) მის მიერ ბოიკოტის გადაწყვეტილების შესახებ, იმ მოტივით, რომ „სასამართლო სისტემაში არსებობს მწვავე გადაუჭრელი ინსტიტუციონალური პრობლემები.“

²⁰ იხილეთ 2 ივლისის [კოალიციის განცხადება](#). კოალიციის ზოგიერთი წევრი ორგანიზაცია და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც კოალიციის წევრები არ იყვნენ მონაწილეობას იღებდნენ ინდივიდუალური გადაწყვეტილების საფუძველზე. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი ყოველდღიურად მიონაწილეობდა სხდომებში და კითხვებს უსვამდა კანდიდატებს.

²¹ რამდენიმე ჟურნალისტი ყოველდღიურად ესწრებოდა სხდომებს, თუმცა კომიტეტის სხდომათა დარბაზში არ ხდებოდა მედიის ვიდეოკამერების დაშვება. მოსმენების დროს მასმედიის წარმომადგენლები დეპუტატებისგან ინტერვიუებს მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის შესახებ დარბაზის გარეთ იღებდნენ. მხოლოდ ერთი მოქალაქე-კერძო პირი დაესწრო მოსმენების ერთ დღეს.

²² მოსამზადებელი სხდომებისა და მოსმენების პირველი ორი დღის ოქმები დროულად გამოქვეყნდა, თუმცა მოსმენების დასრულებდნ ერთი თვის გასვლის შემდეგაც ჯერ არ გამოქვეყნებიათ მოსმენების ბოლო სამი დღის ოქმები.

და ფეისბუქ გვერდის მეშვეობით, ამას გარდა ვიდეოჩანაწერები აიტვირთა პარლამენტის ვებგვერდზე. კოალიციამ აგრეთვე ატვირთა მოსმენების მოკლე ვიდეორგოლები თავის ფეისბუქ გვერდზე, რამაც უფრო გააფართოვა ამ ინფორმაციაზე საზოგადოების წვდომა.²³

კანდიდატების მოსმენა

კანდიდატების მოსმენა ზოგადად წესების მიხედვით და უმეტესწილად, თანმიმდევრულად წარიმართა, თუმცა სხდომებზე კომიტეტის წევრების ცუდმა დასწრებამ და პოლიტიკურმა ელფერმა ნეგატიური გავლენა იქონია ობიექტურობისა და მოსამართლეთა ღირსებებზე დაფუძნებული დანიშვნების პროცესის სათანადო აღქმაზე.

მოსმენები 6-დან 10 ივლისამდე ჩატარდა და ჩვეულებრივ ერთნაირი ფორმატით მიმდინარეობდა, თუმცა იყო რამდენიმე გამონაკლისიც. კითხვების დასასმელად გამოყოფილმა დროის მონაკვეთმა მოსმენებს გარკვეული სტრუქტურა შესძინა, ამასთან თამჯდომარე მოქნილ მიდგომას იყენებდა და საჭიროების შემხვევაში დროს უხანგრძლივებდა გამომსვლელს,²⁴ თითოეული მოსმენის დასასრულს კანდიდატებს ეძლეოდათ თავიანთი ნებისმიერი პასუხის განმატყეების ან გავრცობის შესაძლებლობა. მიუხედავად იმისა, რომ მოსმენების საშუალო ხანგრძლივობა ოთხ საათს შეადგენდა, ორ საათიანი განსხვავება ყველაზე ხანგრძლივ და ყველაზე ხანმოკლე მოსმენას შორის სადავოს ხდიდა თანაბარი პირობების პრინციპებს.²⁵ გამოუყენებელი დარჩა ბოიკოტის რეჟიმში მყოფი პარტიებისთვის შეკითხვების დასასმელად განკუთვნილი დრო.²⁶ იმის გათვალისწინებით, რომ მოსმენების დროს კომიტეტის წევრებს უნდა დაესვათ შეკითხვები კანდიდატებისთვის პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, ეს ფაქტობრივად ფსევდო პლენარული მოსმენები იყო, რადგანაც ყველა დეპუტატს შეეძლო კითხვების დასმა (პრიორიტეტი კომიტეტის წევრებს ენიჭებოდათ), შესაძლოა სწორედ ამან გააძლიერა პროცესის პოლიტიკური ელფერი.²⁷

²³ იხილეთ კოალიციის ფეისბუქ გვერდი, „მსურს ვენდობოდე სასამართლოს!“ ვიდეო კლიპებში ასახულია საზოგადოებისთვის საინტერესო შეკითხვები და პასუხები.

²⁴ მიუხედავად იმისა, რომ თამჯდომარეს ჩვეულებრივ მოქნილი დამოკიდებულება ჰქონდა კითხვებისთვის გამოყოფილი დროის ლიმიტთან, ზოგ შემთხვევაში ამას შედეგად მოჰყვა დროის შეუსაბამო და თვითნებური გახანგრძლივება. თამჯდომარემ ასევე საგანგებო წესი შემოიღო, რომლის მიხედვითაც დეპუტატებს და არა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს კანდიდატების პასუხების შეწყვეტის ნება ეძლეოდათ.

²⁵ ყველაზე ხანმოკლე მოსმენა 3:11 (სამ საათსა და თერთმეტ წუთს) გაგრძელდა, ყველაზე ხანგრძლივი კი 5:17 (ხუთ საათსა და ჩვიდმეტ წუთს).

²⁶ თითოეულ მოსმენაზე მთლიანობაში საათზე მეტი იყო გამოყოფილი პოლიტიკური ფრაქციებისთვის, რომლებიც ბოიკოტს უცხადებდნენ პროცესს.

²⁷ ქართული ოცნების ის დეპუტატები, რომლებიც არ იყვნენ კომიტეტის წევრები, ასევე რამდენიმე ყოფილი ქართული ოცნების დეპუტატი (უფრაქციო) და ერთი დეპუტატი პარტია-მოქალაქეებიდან,

კომიტეტის წევრების არასათანადო დასწრებამ და მონაწილეობამ ნეგატიური გავლენა იქონია მოსმენების ხარისხზე. მაშინ როცა თითოეული სხდომა, კანონის მოთხოვნის შესაბამისად, იწყებოდა 10 კაციანი ქვორუმით კომიტეტის წევრები მოსმენებს ხშირად მხოლოდ მათთვის კითხვების დასასმელად გამოყოფილ დროს ესწრებოდნენ, რის შედეგადაც მოსმენებს ზოგჯერ მხოლოდ კომიტეტის ორი, ან სამი წევრი ესწრებოდა, ან მხოლოდ კომიტეტის თავმჯდომარე. გარდა ამისა, ქვორუმის მოთხოვნა დღის მეორე მოსმენაზე არ ვრცელდებოდა, რომლებიც ხანდახან 10-ზე ნაკლები წევრის მონაწილეობით იწყებოდა. აღნიშნული ცუდი დასწრების გამო ხშირად ხდებოდა კანდიდატებისთვის კითხვების განმეორებით დასმა. ამას გარდა, კომიტეტის იმ წევრებსაც კი, რომლებიც ესწრებოდნენ მოსმენებს, მათ შორის თავმჯდომარესაც, ხშირად უწევდათ ყურადღების სხვა რამეზე გადატანა; სხდომების დროს კომიტეტის მხოლოდ რამდენიმე წევრი ეცნობოდა კანდიდატების შესახებ მიწოდებულ მასალებს, ან აკეთებდა ჩანაწერებს. იმის გათვალისწინებით, რომ კომიტეტის წევრების მოვალეობაში შედიოდა კანდიდატების შეფასება და პარლამენტისთვის რეკომენდაციის გაწევა მათ დანიშვნასთან დაკავშირებით, მათ მიერ მოსმენების გაცდენებმა და დასწრების დროს ყურადღების სხვა რამეზე გადატანამ ეჭვის ქვეშ დააყენა ამ პროცესში გადაწყვეტილების მიღების ინფორმირებულობის მთავარი ამოცანა.

იმის მიუხედავად, რომ მოსმენები ზოგადად წესრიგის დაცვით ტარდებოდა, სავარაუდოდ იმის გამო, რომ უმეტესწილად ერთგვაროვანი პოლიტიკური სპექტრი იყო წარმოდგენილი, ზოგ კანდიდატს, ოპოზიციის დამსწრე რამდენიმე დეპუტატსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის მაინც გაჩაღდა ცხარე კამათი, ერთმანეთის მისამართით გაისმოდა ბრალდებები და შეურაცხყოფები. ზოგიერთი დეპუტატისგან გაისმოდა ცინიკური და ქედმაღლური შენიშვნები კანდიდატების პასუხებზე რეაგირებისას, ან პირდაპირ თავს ესხმოდნენ კანდიდატების კეთილსინდისიერებას. თავმჯდომარე ზოგჯერ მათი საქციელის გამო შენიშვნებს აძლევდა დეპუტატებს, თუმცა დროულად იშვიათად ერეოდა ესკალაციის თავიდან ასაცილებლად, რითაც დეპუტატებს საშუალებას აძლევდა შეეწყვეტინებინათ კანდიდატი კითხვაზე პასუხების გაცემის დროს და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები კითხვების დასმის პროცესში.

უფრო შემაშფოთებელია ის რომ, ზოგჯერ ხდებოდა პროცესების პოლიტიკურ კალაპოტში გადაყვანა, რაც წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ვიწროპარტიული მიდგომების გავლენების პრევენცია უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეთა

რომლებიც არ იყვნენ კომიტეტის წევრები, ესწრებოდნენ და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მოსმენებში; ზოგი უბრალოდ ესწრებოდა და აკვირდებოდა პროცესებს.

დანიშვნის პროცესში.²⁸ როგორც ზემოთაა აღნიშნული და ხაზგასმულია ODIHR-ის 2019 წლის დასკვნაში, საქართველოს საკანონმდებლო ბაზაში მოცემული არაა პრევენციის ეფექტური მექანიზმები, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის პროცესში პოლიტიკური გავლენების გამოსარიცად²⁹ და აღნიშნულმა პროცესებმა ვერ გააქარწყლა ამგვარ გავლენებთან დაკავშირებით არსებული წუხილი. ზოგიერთი პარლამენტარი მოსმენების ეტაპს პოლიტიკურ ტრიბუნად იყენებდა და კანდიდატებს უსვამდა კითხვებს ბოლოდროინდელ განხეთქილების გამომწვევ მოვლენებზე,³⁰ შემდეგ კი მათი პოლიტიკურად წინააღმდეგობრივი მოსაზრებების გამო ეკამათებოდა და აკრიტიკებდა მათ, ან ეჭვი შეჰქონდა პოლიტიკურად დელიკატურ კითხვებზე კანდიდატების პასუხებში.³¹ ყოველივე ამის შედეგად ზოგიერთმა კანდიდატმა გარკვეულ კითხვებზე პასუხების გაცემაზე უარი განაცხადა. მიუხედავად იმისა, რომ თავმჯდომარე პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, უმეტესწილად ნეიტრალურობას ინარჩუნებდა, მან რამდენჯერმე მანაც გააკეთა განხადებები, ან ჩაერთო კამათში, რაც თავისი არსით პარტიულ ელფერს ატარებდა.³²

²⁸ იხილეთ 2019 წლის ODIHR-ის დასკვნა, პარაგრ. 26, 28 და 82-84. ასევე იხილეთ ევროპული მოსამართლეების საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) [დასკვნა ნომერი 18 \(2015\) თანამედროვე დემოკრატიაში მართლმსაჯულების მდგომარეობასა და მის ურთიერთქმედებაზე ხელისუფლების სხვა შტოებთან](#), პარაგრ. 15;

და ვენეციის კომისიის [ანგარიში მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ \(2007\)](#), CDL-AD (2007)028-e, პარაგრ. 12 და 47.

²⁹ მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, სადაც მოსამართლეთა დანიშვნის საბოლოო გადაწყვეტილებას არ იღებს დამოუკიდებელი იურიდიული საბჭო, უნდა არსებობდეს გარანტიები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ გადაწყვეტილებების მიღება მხოლოდ და მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე ხდება. ევროპული მოსამართლეების საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) [დასკვნა ნომერი 1 \(2001\) მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მათი შეუცვლელი შესახებ](#), პარაგრ. 37 და [დასკვნა ნომერი 18 \(2015\) თანამედროვე დემოკრატიაში მართლმსაჯულების მდგომარეობასა და მის ურთიერთქმედებაზე ხელისუფლების სხვა შტოებთან](#), პარაგრ. 15

³⁰ ზოგიერთი პარლამენტარი ახსენებდა ძალადობრივ მოვლენებს, რომლებიც თბილისში დაგეგმილმა პრაიდის ღონისძიებამ გამოიწვია. 5 ივლისს, იმ დღეს როდესაც მისი ჩატარება იგეგმებოდა, ჰომოსექსუალების წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო დემონსტრაციები სრაფად გადაიზრდა ძალადობრივ მოვლენებში, რასაც 50 პირის დაშავება და ერთის საკამათო გარემოებებში გარდაცვალება მოჰყვა. პრაიდი გაუქმდა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო. გარდა ამისა, ზოგიერთმა დეპუტატმა, რომლებიც დანიშვნის პროცესის ჩატარებისთვის შერჩეული დროის წინააღმდეგი იყო, კანდიდატებს დაუსვა შეკითხვა იმის შესახებ, წარმოადგენდა თუ არა დანიშვნების პროცესების გაგრძელება 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმების დარღვევას.

³¹ მაგალითად, ქართული ოცნების ორი დეპუტატი 45 წუთის განმავლობაში ცხარედ ეკამათებოდა კანდიდატს მისი ერთ-ერთი გადაწყვეტილების გამო, რომელიც ქართული ოცნების დამაარსებელს, ყოფილ პრემიერ მინისტრს ეხებოდა.

³² პარლამენტის რეგლამენტის 36-ე მუხლის მიხედვით, კომიტეტის თავმჯდომარეები ვალდებული არიან თავიანთი უფლებამოსილება განახორციელონ სამართლიანად და მიუკერძოებლად. კომიტეტის თავმჯდომარემ კი ორჯერ შეაქო და პოზიტიურ კონტექსტში მოიხსენია შინაგან საქმეთა მინისტრი, ქართული ოცნების პარტიის წევრი, ბოლოდროინდელ თბილისში გამართულ პრაიდის წინააღმდეგ გამართულ დემონსტრაციაზე განვითარებულ ძალადობრივ ქმედებებზე პოლიციის

პოლიტიკური ელფერის მიუხედავად შეკითხვები ძირითადად კანდიდატების დამსახურებებს ეხებოდა; თუმცა საკმაოდ შეზღუდულად დაისვა ტექნიკური შეკითხვები კანდიდატების პროფესიული კომპეტენციის შესაფასებლად. დეპუტატები ვრცელ შეკითხვებს სვამდნენ სასამართლო რეფორმისა და სხვა პოლიტიკური საკითხების შესახებ.³³ სამოქალაქო საზოგადოების, პროფესიონალი იურისტების და სამეცნიერო წრის წარმომადგენელთა ყოველდღიურმა მონაწილეობამ, მათ მიერ ფართო სპექტრის თემებზე დასმული შეკითხვების მეშვეობით, გააუმჯობესა მოსმენების ხარისხი. პოზიტიურ მოვლენად უნდა აღინიშნოს ის, რომ კომიტეტის თავმჯდომარე ცალკეულ მოქალაქეებს ნებას რთავდა დაესვათ შეკითხვები, რომელთა მიწოდებაც წერილობითი ფორმით ხდებოდა და თავად თავმჯდომარე არჩევდა და კითხულობდა მათ.³⁴

კომისიის დასკვნები

12 ივლისს მოსმენების დასრულებიდან ორი დღის შემდეგ იურიდიულმა კომიტეტმა ღია სხდომაზე, რომელზეც წევრთა უმრავლესობა ძვლივს იყო წარმოდგენილი, კენჭი უყარა თითოეულ კანდიდატს, რათა გაერკვიათ გაეწიათ თუ არა მათთვის რეკომენდაცია პარლამენტის წინაშე დასამტკიცებლად. ოპოზიციის ბოიკოტის გამო კენჭისყრაში 18 კომიტეტის წევრიდან მხოლოდ 11 იღებდა მონაწილეობას: 10 ქართული ოცნებისა და 1 ევროპული სოციალისტების დეპუტატი, მათ შორის მხოლოდ ერთი იყო ქალი.³⁵ კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კომიტეტის წევრები ხმას მისცემდნენ „კონსტიტუციის შესაბამისად და იხელმძღვანელებდნენ კომიტეტის და კეთილსინდისიერების განსაზღვრის კანონმდებლობით დადგენილი კრიტერიუმებით,“ ფაქტიურად შეუდგნენ დამსახურებული კანდიდატებისთვის რეკომენდაციის მიცემას, თუმცა არ ჰქონდათ სახელმძღვანელო მითითებები, რომლის მიხედვითაც კომიტეტის წევრებს უნდა შეეფასებინათ

რეაგირებასთან დაკავშირებით; სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა ამ მინისტრის გადადგომა მოითხოვეს იმ მოტივით, რომ მან თავი ვერ გაართვა აღნიშნული შემთხვევის მართვას.

³³ განხილულ საკითხების მაგალითებია: მოსამართლეების დამოუკიდებლობა, სასამართლოს პრაქტიკა, მოსამართლის ეთიკა, სასამართლო სისტემის მართვა, იურიდიული ნორმები და პრინციპები, სასამართლო სისტემაში არსებული გამოწვევები, სასამართლო რეფორმა, ადამიანის უფლებები და პირადი ფასეულობები. რამდენიმე დეპუტატმა კანდიდატებს შეუსაბამო, პირადი შეკითხვები დაუსვა რელიგიურ აღმსარებლობასა და ვაქცინაციასთან დაკავშირებით.

³⁴ წერილობითი ფორმით კითხვების დასმის უფლება და პროცედურები არ იყო წერილობით დადგენილი; პირველ მოსმენაზე თავმჯდომარემ სიტყვიერად განაცხადა, რომ მოქალაქეებს შეეძლოთ წერილობითი შეკითხვები პარლამენტის ვებგვერდის, ან ფეისბუქ გვერდის საშუალებით დაესვათ ანონიმურად, ან არა ანონიმურად. მოსმენების მთელი პროცესის განმავლობაში თავმჯდომარემ წაიკითხა თორმეტი წინასწარ შერჩეული შეკითხვა, რომლებიც ოთხმა მოქალაქემ დასვა.

³⁵ ქართული ოცნების რამდენიმე სხვა წევრი ესწრებოდა სხდომებს, თუმცა არც ერთი სხვა ოპოზიციის, ან დამოუკიდებელი დეპუტატი მათ არ დასწრებია.

თითოეული კანდიდატი კომპეტენციისა და კეთილსინდისიერების კატეგორიების მიხედვით. კომიტეტის თავმჯდომარემ სხდომაზე არსებითი დისკუსიები არ გამართა კანდიდატების დამსახურებების შესახებ; მიუხედავად იმისა, რომ ამას კანონი არ მოითხოვდა, იმ ფაქტმა, რომ არ ჩატარდა ამგვარი განხილვა, დიდად ვერ გაზარდა ნდობა აღნიშნული პროცესის მიმართ იმასთან დაკავშირებით, რომ იგი ღირსებებზე დაფუძნებული პრინციპებით წარიმართა.

კენჭისყრის მოდელები მკვეთრად პარტიული ხაზით გამოირჩეოდა: ქართული ოცნების 10-ივე კანდიდატმა ხმა ექვს კანდიდატს მისცა და თავი შეიკავეს დანარჩენი 3 კანდიდატის შემთხვევაში; ევროპული სოციალისტების დეპუტატმა ხმა მისცა ქართული ოცნების მიერ მხარდაჭერილი კანდიდატებიდან სამს, ამასთან ქართული ოცნების მიერ მხარდაჭერილი კანდიდატებიდან ერთის წინააღმდეგ მისცა ხმა, ხოლო დანარჩენ კანდიდატებთან დაკავშირებით თავი შეიკავა. აღნიშნული ექვსი კანდიდატიდან თითოეულმა ძვლივს დააგროვა ხმათა უმრავლესობისთვის საჭირო რაოდენობა-10 ხმა. შემდგომი განხილვების გარეშე კომიტეტმა ხმა მისცა იმ ექვსი კანდიდატისთვის რეკომენდაციის გაწევას, რომლებმაც ხმათა უმრავლესობა მიიღეს.³⁶ ექვსი რეკომენდებული კანდიდატიდან ყველა მამაკაცი მოსამართლე იყო; დანარჩენმა სამმა კანდიდატმა ვერც ერთი ხმა ვერ მიიღო, მათ შორის იყო ორი ქალი თბილისის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოდან და ერთი მამაკაცი მოსამართლე-უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, რომელსაც მოსამართლეობის ვადის ამოწურვის შემდეგ ვადა ორჯერ გაუხანგრძლივეს. სამიდან ორმა არარეკომენდებულმა კანდიდატმა მანამდე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან გაცილებით მაღალი ქულები და შეფასება მიიღო, ვიდრე ექვსმა რეკომენდებულმა კანდიდატმა.³⁷

იურიდიული კომიტეტის მიერ მომზადებულ დასკვნაში, რომლითაც 6 კანდიდატს გაეწია რეკომენდაცია, მოცემული არ იყო მათ მიერ გაკეთებული არჩევანის არგუმენტირებული დასაბუთება, რაც ამცირებს გამჭვირვალობას და ზრდის წუხილს იმის თაობაზე, ნამდვილად ეფუძნებოდა თუ არა მათი გადაწყვეტილებები კანდიდატების შესაფერისობას სასამართლოს უმაღლესი ინსტაციისთვის. პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, კომიტეტმა უნდა მიიღოს დასკვნა, რომელშიც მოცემული იქნება რეკომენდაცია კანდიდატის არჩევის თაობაზე და ასევე „შეფასება და/ან რეაგირების კონკრეტული კრიტერიუმები“.³⁸ კომიტეტის დასკვნაში მოცემული იყო მხოლოდ ექვსი რეკომენდებული კანდიდატის ნუსხა მათი კენჭისყრის შედეგების დასაბუთების, ან კანდიდატების დამსახურებების შესახებ მნიშვნელოვანი

³⁶ ექვსიდან ხუთი რეკომენდებული კანდიდატი თბილისის სააპელაციო სასამართლოს, ერთი კი მცხეთის რაიონული სასამართლოს მოქმედი მოსამართლე იყო.

³⁷ პარლამენტში განსახილველად წარდგენისას იუსტიციის უმაღლეს საბჭოს სამი არარეკომენდებული კანდიდატი ქულებით/რანჟირებით შემდეგნაირად ჰყავდა შეფასებული: როგორც 9 კანდიდატიდან 4-ე, 5-ე, და 8-ე.

³⁸ პარლამენტის რეგლამენტის მუხლი 42 (2) და 205 (4).

მონაცემების გარეშე. დასკვნა დაუყოვნებლივ წარედგინა პარლამენტის ბიუროს და პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა კომიტეტში ჩატარებული კენჭისყრის შედეგები, თუმცა გამოქვეყნებულ მასალაში დაწვრილებით არ იყო მოცემული ინფორმაცია ხმის მიცემის შესახებ, თუ როგორ მისცა ხმა კომიტეტში თითოეულმა წევრმა, რამაც კიდევ უფრო შეზღუდა გამჭვირვალობა.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი მკაფიოდ არ მოითხოვს თითოეული კანდიდატის დამსახურების საფუძვლიან დასაბუთებას, ისეთი დასკვნის არარსებობამ, რომელიც ყველაზე მაღალ დონეზე მათხდენდა ამგვარ შეფასებას, შეზღუდა პარლამენტის შესაძლებლობა კანდიდატებისთვის კენჭი ეყარათ მათი პროფესიული დამსახურებების და არა პოლიტიკური პრეფერენციების საფუძველზე. ეს განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო იმის გამო, რომ სამიდან ორ არარეკომენდებულ კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან უფრო მაღალი შეფასება ჰქონდა, ვიდრე ზოგიერთს იმ ექვსი კანდიდატიდან, რომლებსაც საბოლოო ჯამში რეკომენდაცია გაეწია.³⁹ საფუძვლიანი დასაბუთების არარსებობის პირობებში მოსამართლეების დანიშვნებთან დაკავშირებით კომიტეტის რეკომენდაციებსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილი კანდიდატების ქულებით შეფასებას შორის არსებული შეუსაბამოებები კვლავ საფრთხეს უქმნის საქართველოში მოსამართლეთა დამოუკიდებლობას და კანონის უზენაესობის პატივისცემას.⁴⁰

კენჭისყრა პლენარულ სხდომებზე

კანონის მიხედვით, ის კანდიდატები ინიშნებიან უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად, რომლებიც კენჭისყრის შედეგად პარლამენტის დეპუტატების

³⁹ მაგალითად საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, რომელიც მოსმენებში ყოველდღიურად მონაწილეობდა, თავის 12 ივლისის [ანგარიშში](#) ორ ქალ კანდიდატს აფასებს, როგორც იმ ორადორ წარდგენილ კანდიდატს, რომლებიც მაღალკვალიფიციური კადრები იყვნენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისთვის. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, რომელიც კოალიციის წევრია, [თავის 2021 წლის მარტის ანგარიშში](#) აგრეთვე აღნიშნავს იმ ორი ქალი კანდიდატის შესახებ რომლებიც თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები იყვნენ და რომელთა კანდიდატურებიც ჩავარდა: „მოსმენების დროს [მისმა] პასუხებმა და უნარებმა გამოავლინა, რომ ის სრულად აკმაყოფილებდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისთვის საჭირო მაღალ სტანდარტებს“ (გვ.46).

⁴⁰ იურიდიული კომიტეტის გადაწყვეტილების მიღების პროცესთან დაკავშირებულ გამჭვირვალობის პრობლემას შესაძლოა შედეგად მოჰყვეს მოსამართლეთა თვითნებური გადაწყვეტილებით დანიშვნა რაც პოტენციურად ნეგატიურ გავლენას იქონიებს დანიშვნის სამართლიანობის პრინციპზე და რასაც შედეგად მოჰყვება ადამიანის უფლებების შესახებ ევროპული კონვენციის 6-ე მუხლის დარღვევა, რომელშიც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს ძირითადი გარანტიებია მოცემული. იხილეთ მაგ., ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო (ECtHR), *Guðmundur Andri Ástráðsson* ისლანდიის წინააღმდეგ წერილობითი შუამდგომლობა ნომერი: 26374/18, 2019 წლის 12 მარტის დადგენილება), პარაგრ. 97-103 და 112-123.

ხმათა უმრავლესობას იღებენ. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კენჭისყრა 12 ივლისს-იმავე დღეს გაიმართა, რადგანაც დაძაბული გარემოს პირობებში მიღებულ რეკომენდაციებს შედეგად მოჰყვა კომიტეტის მიერ რეკომენდებული ექვსივე კანდიდატის დანიშვნა, კენჭისყრაში მონაწილე უმეტესწილად ერთგვაროვანი პოლიტიკური ბლოკის წარმომადგენლების მიერ.

პლენარული სხდომა რიგგარეშედ ჩატარდა, სულ მალე მას შემდეგ, რაც 12 ივლისს კომიტეტმა კენჭი უყარა კანდიდატებს. მიუხედავად იმისა, რომ სხდომა პირდაპირ ეთერში გადაიციმოდა, საზოგადოების წარმომადგენლებს და ჟურნალისტებს არ შეეძლოთ მასზე დასწრება, რადგანაც გამკაცრებული იყო უსაფთხოების ზომები, ამ საკითხთან კავშირში არ მყოფი საპროტესტო დემონსტრაციების გამო, რომლებიც პარლამენტის შენობის გარეთ მიმდინარეობდა და რომლის ესკალაციის შედეგადაც პარლამენტზე შტურმის მცდელობა, ფიზიკური დაპირისპირება და დროებითი ევაკუაცია განხორციელდა.⁴¹ აღნიშნულმა მოვლენებმა პლენარული სხდომა 2 საათით შეაფერხა, ბოლოს იგი გაგრძელდა და მას პარლამენტის 150 მოქმედი დეპუტატიდან 87 ესწრებოდა; მონაწილეთა 93 პროცენტს მმართველი პარტიის წევრები წარმოადგენდნენ, რადგანაც ოპოზიციონერი დეპუტატების უმრავლესობამ ბოიკოტის ნიშნად დარბაზი დატოვა.⁴² ამის გამო დანიშვნების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებების მიღება მოხდა ოპოზიციის მხრიდან პრაქტიკულად ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე, რამაც პროცესის ინკლუზიურობა შეზღუდა.

პარლამენტის რეგლამენტის მოთხოვნების საპირისპიროდ, არ იყო კანდიდატების დამსახურებების შესახებ არსებითი დისკუსიის გამართვის შესაძლებლობა.⁴³ კენჭისყრა

⁴¹ პარლამენტში მხოლოდ უშუალოდ პარლამენტის თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილი პირები დაუშვეს; ODIHR-ის დამკვირვებლებმა საშვები მიიღეს, თუმცა სხდომებს ვერ დაესწრნენ ვერც ჟურნალისტები და ვერც სხვა დამკვირვებლები. მასმედიის საშუალებების მიერ ორგანიზებულ საპროტესტო დემონსტრაციაზე შინაგან საქმეთა მინისტრისა და პრემიერ მინისტრის გადადგომას მოითხოვდნენ, აღნიშნულ სხდომამდე ერთი დღით ადრე ჟურნალისტის გარდაცვალების გამო, რომელიც მათი მტკიცებით, იმ ტრამვების შედეგად დაიღუპა, რომლებიც თბილისში დაგეგმილი პრაიდის წინააღმდეგ გამოსული რელიგიური ექსტრემისტების მიერ მისი ცემის შედეგად მიიღო. პროტესტი გადაიზარდა პარლამენტის შტურმში დემონსტრანტების მხრიდან, რომლებსაც მხარს ზოგიერთი ოპოზიციონერი დეპუტატი უჭერდა; პარლამენტში ფიზიკურ დაპირისპირებას, მათ შორის ხელჩართულ ჩხუბს დეპუტატების დროებითი ევაკუაცია მოჰყვა

⁴² ევროპელი სოციალისტებისა და პარტია მოქალაქეების დეპუტატები ოპოზიციის ბოიკოტში მონაწილეობას არ იღებდნენ. ესწრებოდნენ: ქართული ოცნების 84-დან 81 დეპუტატი, ევროპული სოციალისტები: 40-დან 1, პარტია-მოქალაქეებიდან 2-დან 2 და უფრაქციო 11 დეპუტატიდან 3 (ყოფილი ქართული ოცნების დეპუტატი), კენჭისყრაში მონაწილეობას არ იღებდა არც ერთი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, სტრატეგიის, ლელოს, გირჩის, ან უპარტიო დეპუტატი.

⁴³ პარლამენტის რეგლამენტის მუხლში 205(6) ნათქვამია, რომ პლენარული სხდომა ტარდება თითოეული კანდიდატის შესახებ ინდივიდუალური განხილვებისა და ღია კენჭისყრის გასამართად. მხოლოდ ერთმა დეპუტატმა პარტია მოქალაქეებიდან გააკეთა კომენტარი კანდიდატების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით და დეპუტატებს სთხოვა ხმა მიეცათ მხოლოდ იმ ორი ქალი

სხდომის განახლებისთანავე გაგრძელდა. ექვსმა იმ ცხრა კანდიდატიდან, რომლებსაც რეკომენდაცია იურიდიულმა კომიტეტმა გაუწია, ხმათა უმრავლესობა დააგროვა და შესაბამისად უვადოდ მოხდა მათი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების თანამდებობებზე დანიშვნა. თუმცა თითოეულმა ძვლივს მიიღო საჭირო 76 ხმა.⁴⁴ დანარჩენმა სამმა კანდიდატმა ძალიან ცოტა ხმა დააგროვა, რადგანაც პარლამენტართა უმეტესობამ თავი შეიკავა ან მათ წინააღმდეგ მისცა ხმა.⁴⁵

იმავე დღეს პარლამენტმა პლენარული სხდომის კენჭისყრის დეტალებში ჩაშლილი შედეგები გამოაქვეყნა. ქართული ოცნების დეპუტატების ხმის მიცემის მოდელში მსგავსება შეინიშნებოდა, რაც პარტიის შიგნით კოორდინაციაზე მეტყველებდა.⁴⁶ კენჭისყრის სესიის დროს ქართული ოცნების რამდენიმე დეპუტატმა ღიად მოუწოდა თავიანთი პარტიის დეპუტატებს ყოფილიყვნენ „ფრთხილად“ და „ყურადღებით“ და შეახსენა, რომ მათი პარტია მხოლოდ უმნიშვნელო უმრავლესობას ფლობს. 2019 წელს პარლამენტმა დასაბუთებულად ჩააგდო ერთ-ერთი დანიშნული მოსამართლის კანდიდატურა, რომელმაც ამჯერად ქართული ოცნების ფაქტიურად ყველა დეპუტატის ხმა მიიღო.⁴⁷

სამწუხაროდ, ექვსი ახალი მოსამართლის დანიშვნამ, სერიოზული ზიანი მიაყენა საქართველოს უმაღლესი ინსტანციის მოსამართლეებში ქალთა გენდერულ წარმომადგენლობას. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული კანდიდატების 38 პროცენტს და წარდგენილი კანდიდატების 22 პროცენტს ქალები შეადგენდნენ, მათგან

კანდიდატისთვის, რომლებსაც იურიდიულმა კომიტეტმა არ გაუწია რეკომენდაცია, როგორც მან [განაცხადა](#), ეს მისი მორალური ვალდებულება იყო.

⁴⁴ ექვსი დანიშნული მოსამართლიდან თითოეულმა, 87 დამსწრე დეპუტატის პირობებში, 77-დან 79-მდე ხმა მიიღო.

⁴⁵ სამი წარუმატებელი მოსამართლიდან თითოეულმა მიიღო 3-დან 5 ხმამდე 87 დამსწრე დეპუტატიდან, 2-დან 7-მდე მათი დანიშვნის წინააღმდეგი იყო, დანარჩენმა დეპუტატებმა თავი შეიკავეს.

⁴⁶ ექვსი წარმატებული კანდიდატიდან თითოეულმა მიიღო ქართული ოცნების 81 დეპუტატიდან 76-დან 78-მდე ხმა და ქართული ოცნების 81-დან 78-დან 79-მდე დეპუტატმა ხმა მისცა სამი წარუმატებელი კანდიდატის წინააღმდეგ, ან საერთოდ არ მისცა ხმა. ქართული ოცნების სამმა ყოფილმა დეპუტატმა (უფრაქციო) ერთმანეთის მსგავსად მისცეს ხმა, ცხრავე კანდიდატიდან თითოეულის წინააღმდეგ, ან საერთოდ არ მისცეს ხმა. მიუხედავად იმისა, რომ პარტია-მოქალაქეებმა მანამდე გააკეთა განცხადება კენჭისყრის ბიოკოტირების შესახებ, მისმა ორმა დეპუტატმა მონაწილეობა მიიღო კენჭისყრაში და ხმა მისცა იმ ორ ქალ კანდიდატს, რომელთა კანდიდატურებიც ჩააგდო მმართველმა პარტამ, ხოლო დანარჩენი ყველა კანდიდატის წინააღმდეგ მისცეს ხმა. ერთმა დეპუტატმა ევროპელი სოციალისტებიდან ხმა მისცა ორი დანიშნული მოსამართლის წინააღმდეგ და მხარი არ დაუჭირა არცერთ წარუმატებელ კანდიდატს.

⁴⁷ 2019 წლის დეკემბერში 2-მა დეპუტატმა ხმა ამ კანდიდატის სასარგებლოდ მისცა, 3-მა დეპუტატმა-მის წინააღმდეგ, ხოლო 86-მა დეპუტატმა კი-თავი შეიკავა; 2021 წლის ივლისში კი ამავე კანდიდატმა 79 დეპუტატის ხმა მიიღო, 5-მა მის წინააღმდეგ მისცა ხმა, 3-მა კი თავი შეიკავა.

ვერც ერთი ვერ დაინიშნა მოსამართლის თანამდებობაზე.⁴⁸ ექვსი ახალი მამაკაცი მოსამართლის დანიშვნით უზენაეს სასამართლოში გენდერული ბალანსი საგრძნობლად დაირღვა და ქალი მოსამართლეების რაოდენობა 47-დან 35 პროცენტამდე შემცირდა, რაც საგრძნობლად დაბალია საქართველოს მოსამართლეების საერთო რაოდენობაში ქალების შემადგენლობის მაჩვენებლის 57 პროცენტზე⁴⁹ უფრო მეტიც, პარლამენტში ქალები დეპუტატების მხოლოდ 19 პროცენტს შეადგენენ და მხოლოდ ერთი ქალი დეპუტატი იღებდა მონაწილეობას იურიდიულ კომიტეტში კენჭისყრის პროცესში, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა ქალთა როლი მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საერთო ჯამში, საკანონმდებლო ბაზასა და მოსამართლეთა დანიშვნების საპარლამენტო პროცესში არსებულმა ხარვეზებმა ზიანი მიაყენა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის სანდოობას და წარმომადგენლობითობას, რამაც გამოიწვია კრიტიკა საზოგადოების მხრიდან როგორც არსებით, ასევე პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით. სახალხო დამცველმა და სამოქალაქო საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა დაგმეს ეს პროცესი, რადგანაც მათი აზრით იგი დისკრედიტირებული იყო და მან ვერ უზრუნველყო სასამართლოს უმაღლეს ინსტანციაში უვადოდ ყველაზე მაღალკვალიფიციური კანდიდატი მოსამართლეების დანიშვნა.⁵⁰ ამავდროულად, საერთაშორისო თანამეგობრობამ პარლამენტი იმის გამო გააკრიტიკა, რომ სასამართლო სისტემაში მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელებამდე, განაგრძო და ბოლომდე მიიყვანა მოსამართლეთა დანიშვნების პროცესი.⁵¹ 28 ივლისს, პარლამენტის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის პროცესის დასრულების შემდეგ მმართველმა პარტიამ მოახდინა 19 აპრილის შეთანხმების ანულირება იმ არგუმენტით, რომ „აღნიშნულმა შეთანხმებამ უკვე შეასრულა მასზე დაკისრებული მისია და ამოწურა თავისი შესაძლებლობები.“⁵²

⁴⁸ 32-დან თორმეტი კანდიდატი(38%), რომლებსაც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ კანდიდატების წარდგენამდე კენჭი უყარა იყო ქალი და 9-დან ორი კანდიდატი(22%), რომლებიც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ წარადგინა იყო ქალი.

⁴⁹ 6 ახალი მოსამართლის დანიშვნამდე, უზენაესი სასამართლოს 17 მომქმედი მოსამართლიდან 8 ქალი იყო; ქალ მოსამართლეთა რაოდენობა იგივე დარჩა ახალი დანიშვნების შემდეგ, რაც 23-დან 8-ს შეადგენს.

⁵⁰ სახალხო დამცველმა მოსამართლეთა დანიშვნის პროცესს [საჯაროდ უწოდა](#) ფარსი, რომელმაც ვერ შეძლო ყველაზე მაღალკვალიფიციური კანდიდატების დანიშვნა. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ კი, რომელიც სრული პროცესის მონიტორინგს ახორციელებდა გააკეთა [განცხადება](#), რომელშიც ამტკიცებდა, რომ მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში არასათანადო გავლენები შეინიშნებოდა.

⁵¹ იხილეთ [ამერიკის საელჩოსა](#) და [ევროკავშირის წარმომადგენლობის](#) განცხადებები, რომლებიც დანიშვნების შემდეგ გაკეთდა.

⁵² იხილეთ ქართული ოცნების თავმჯდომარის [განცხადება](#).

კანონის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ პარლამენტი თანამდებობებზე არ დაამტკიცებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილ კანდიდატებს და რის შედეგადაც ეს ადგილები ვაკანტური დარჩება (მოცემულ შემთხვევაში 3 ვაკანტური ადგილი), საბჭომ ორი კვირის განმავლობაში მისივე თავდაპირველი შემოკლებული სიიდან შემცვლელი კანდიდატები უნდა დაასახელოს და იგივე კენჭისყრის პროცესი უნდა გამოიყენოს, რაც თავდაპირველი კანდიდატების წარდგენის დროს იქნა გამოყენებული.⁵³ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა ამჟამად მნიშვნელოვნად განსხვავებულია იმისგან, რაც იყო უზენაესი სასამართლოს იმ ექვსი ახალი მოსამართლის კანდიდატის წარდგენის პროცესში, რომლებიც ახლა დაინიშნენ თანამდებობებზე. 26 ივლისის ბოლო ვადისთვის, საბჭოს ჯერ კიდევ არ ჰყავდა წარდგენილი სამი ახალი კანდიდატი⁵⁴ რის შედეგადაც მოსამართლეთა 2 ვაკანტურ ადგილზე კანდიდატურების შერჩევის პროცესის პარალელურად, ვაკანტურია უზენაესი სასამართლოს 28 მოსამართლიდან 5-ის ადგილი. ჯამში 28-დან 20 ვაკანტური ადგილი შეივსო 2019 და 2021 წლების მოსამართლეთა დანიშვნების პროცესის შედეგად. ორივე ამ პროცესს სრულებით აკლდა ინკლუზიურობა და ვერც ერთის დროს ვერ მოხერხდა პარტიათაშორისი მხარდაჭერის მოპოვება.

რეკომენდაციები

ODIHR-ის მონიტორინგის ანგარიშის მიზანია მოსამართლეების დანიშვნის პროცესისა და მისი ეუთოს ვალდებულებებთან, საერთაშორისო სტანდარტებთან და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის სახელმძღვანელო პრინციპებთან შესაბამისობის დამოუკიდებელი შეფასება. შესაბამისად, რეკომენდაციების მიზანს წარმოადგენს მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება, რათა მოხდეს მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების შესახებ არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან. მიუხედავად იმ ბევრი რეკომენდაციის გათვალისწინებისა, რომლებიც ODIHR-მა თავის 2019 წლის საკანონმდებლო ბაზის

⁵³ ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მუხლი 34.1(15). იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტში ახალი წარდგენილი კანდიდატების განხილვების შემდეგ შეუვსებელი დარჩება ვაკანტური ადგილები, ერთ თვეში თავიდან უნდა დაიწყოს პროცესი.

⁵⁴ 2021 წლის ივლისის ბოლოსთვის, საბჭოს იმ თორმეტი წევრიდან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანდიდატების წარდგენის პროცესში, მხოლოდ ექვსი წევრია დარჩენილი. კვლავ ვაკანტურია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმ ხუთი წევრის თანამდებობა, რომლებიც პარლამენტმა უნდა დანიშნოს, რადგანაც საბჭოს ყოფილ წევრებს ვადა 2021 წლის მარტსა და ივნისში ამოეწურათ. 24 ივნისს მმართველმა პარტიამ [განაცხადა](#), რომ აღნიშნული დანიშვნები ოქტომრამდე უნდა გადაიდოს.

შეფასებასა⁵⁵ და მონიტორინგის ანგარიშში წარმოადგინა,⁵⁶ რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია კვლავაც შეუსრულებელია და განმეორებითაა მოცემული ქვემოთ. წინამდებარე რეკომენდაციების წაკითხვა უნდა მოხდეს ODIHR-ის წინა ანგარიშებში მოცემულ რეკომენდაციებთან ერთად.

უპირველეს ყოვლისა, ყოვლისმომცველი რეკომენდაციები მოიცავს:

- ✓ პარლამენტმა და იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს უზენაეს სასამართლოში დარჩენილ ხუთ ვაკანტურ ადგილზე კანდიდატების შერჩევის პროცესი, ვიდრე სასამართლო სისტემაში არ დასრულდება შემდგომი, ქვემოთ აღნიშნული რეფორმების განხორციელება;
- ✓ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნების შესახებ საკანონმდებლო ბაზის სრულ შესაბამისობაში მოყვანა ODIHR-ისა და ვენეციის კომისიის შეუსრულებელ რეკომენდაციებთან, რათა მოხდეს მათი შესაბამისობის უზრუნველყოფა მოსამართლეების დამოუკიდებლობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების შესახებ არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან;
- ✓ იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და მისი შემადგენლობის რეფორმირება მისი დამოუკიდებლობისა და სამართლიანობისადმი საზოგადოებრივი ნდობის ამაღლების მიზნით. რაც უნდა მოხდეს საბჭოს წევრების დანიშვნის კონკურენტული, ინკლუზიური და გამჭვირვალე პროცესების უზრუნველყოფის მეშვეობით, რომლებიც დაფუძნებული იქნება მკაფიოდ განსაზღვრულ, ობიექტურ კრიტერიუმებზე. რეფორმის დასრულებამდე უნდა შეწყდეს საბჭოს წევრების ვაკანტური ადგილების შევსების პროცესი;
- ✓ ყოვლისმომცველი სასამართლო რეფორმის განხორციელება სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულების და ხარისხის ასამაღლებლად ფართომასშტაბიანი, ინკლუზიური და პარტიათაშორისი რეფორმის განხორციელების პროცესის მეშვეობით, რომელშიც ასევე აქტიურად იქნებიან ჩართულნი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და იურიდიული ექსპერტები.

ძირითადი რეკომენდაციები, რომლებიც პარლამენტისთვისაა განკუთვნილი, რათა მოხდეს საკანონმდებლო ცვლილებების მეშვეობით მათი დაკანონების განხილვა, მოიცავს:

⁵⁵ ეუთო/ODIHR-ის [დასკვნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის შესახებ ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით 2019 წლის 17 აპრილი](#).

⁵⁶ [მეორე ანგარიში საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების წარდგენისა და დანიშვნის შესახებ 2019 წლის ივნისი-დეკემბერი \(2020 წლის 9 იანვარი\)](#)

- ✓ დანიშვნების პროცესში პარლამენტის როლის პარამეტრების გადახედვა, იმის უზრუნველსაყოფად, რომ მხოლოდ დამსახურებებზე დაფუძნებული, ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე მოხდება მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, ასევე უნდა მოხდეს საკანონმდებლო და პროცედურული გარანტიების მიღება მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის პოლიტიზირების თავიდან ასაცილებლად;
- ✓ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების თანამდებობების კონკურსისთვის შესაბამისობის კრიტერიუმების მინიმალური ზღვრის იმგვარი ცვლილება, რომ კანდიდატებს მოეთხოვებოდათ სამუშაო გამოცდილების მეტი წელი და ადამიანის უფლებების სფეროში მუშაობის მეტი გამოცდილება, რათა მოხდეს უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეების ადგილებზე უფრო მაღალი სტანდარტების კანდიდატების უზრუნველყოფა;
- ✓ საჭიროებისდა მიხედვით დროის ხანგრძლივობის შეცვლა მოსამართლეობის კანდიდატების წარდგენისა და დანიშვნის პროცესის ყველა ეტაპზე, რათა გადაწყვეტილებების მიღებამდე შესაძლებელი გახდეს კანდიდატთა დამსახურებების ზედმიწევნითი განხილვა, რაშიც შედის როგორც პარლამენტში მოსმენების ჩატარებამდე დროის ხანგრძლივობა, ასევე მოსმენების შემდეგ;
- ✓ დასაბუთებული გადაწყვეტილებების მოთხოვნის დამატება დანიშვნის პროცესის ყველა ეტაპზე, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს დაეფუძნება და მათი დროულად გამოქვეყნების მოთხოვნა;
- ✓ საკანონმდებლო ბაზაში ცვლილებების შეტანისგან თავის შეკავება მოსამართლეთა შერჩევის პროცესის მიმდინარეობისას და იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა კანდიდატის მოსმენა და მათი კანდიდატურის განხილვა ერთი და იგივე წესებითა და პროცედურებით მოხდება;
- ✓ უზენაეს სასამართლოში ორივე სქესის დაბალანსებული წარმომადგენლობის გარანტიების შემოღების განხილვა, რაც არ უნდა მოხდეს დამსახურების ძირითადი კრიტერიუმისა და იმ მექანიზმების ხარჯზე, რომლებიც ხელს უწყობენ აღნიშნული ამოცანის განხორციელებას.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების წარდგენისა და დანიშვნის პროცესში თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას, შესაბამისმა პასუხისმგებელმა დაწესებულებებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი რეკომენდაციები, რომელთა უმეტესობის გამოყენებაც შეიძლება ზოგადად დანიშვნების ნებისმიერ პროცესში:

- ✓ სათანადო რეგულაციებისა და პროცედურების მიღების უზრუნველყოფა კანდიდატების წარდგენისა და დანიშვნის პროცესების უმთავრესი ასპექტების შესახებ არსებული კანონმდებლობის გასამყარებლად, მათ შორის მოსმენების პროცესებისა და კანდიდატების დამსახურებების შეფასების დასაბუთების თაობაზე.

- ✓ სამოქალაქო საზოგადოების ეფექტური ჩართვა მოსამართლეთა შერჩევის პროცესებში, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ ყველაზე კვალიფიციური კანდიდატების შერჩევაში, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას;
- ✓ ძალისხმევის კონსოლიდირება ყველაზე მაღალკვალიფიციური კანდიდატების შესარჩევად, უფრო ფართო იურიდიული საზოგადოებიდან, მათ შორის სამოქალაქო სექტორიდან და სამეცნიერო წრიდან კადრების მოზიდვის მეშვეობით.
- ✓ მრავალფეროვნების გაზრდის მიზნით უნდა მოხდეს ქალების, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებისა და უმცირესობების აშკარა წახალისება, რომ განაცხადები შეიტანონ ამ ვაკანსიებზე და სასამართლო სისტემაში უნდა გატარდეს კონსტრუქციული ღონისძიებები მათი წარმომადგენლობითობის გასაზრელად;
- ✓ ყველა კანდიდატის მკაცრად და გამჭვირვალედ შემოწმება, დადგენილ მინიმალური მოთხოვნების კრიტერიუმებთან, მათ შორის უმაღლესი იურიდიული განათლების მოთხოვნასთან, შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით;
- ✓ დამატებითი პროცედურების შემუშავება კანდიდატების მიერ წარდგენილი მონაცემების უფრო საფუძვლიანად და გამჭვირვალედ შემოწმების მიზნით და კომპეტენციისა და კეთილსინდისიერების საკიხებთან დაკავშირებით სიღრმისეული კვლევის უზრუნველსაყოფად;
- ✓ ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე არსებული წესების ზუსტი ინტერპრეტირება იმ მიზნით, რომ შერჩევის მთელი პროცესის განმავლობაში გამოირიცხოს რეალური, ან აღქმითი ინტერესთა კონფლიქტი, მათ შორის, შერჩევის პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედი წევრების მონაწილეობა მაშინ, როცა ამ პროცესის მიმართ პირადი ინტერესი ამოძრავებთ;
- ✓ საზოგადოების ფართო ჩართულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, კანდიდატების წარდგენის მოსმენების შესახებ ინფორმაციის საკმარისად ადრე გავრცელება და აღნიშნული მოსმენების ოქმების დროული გამოქვეყნება;
- ✓ სამართლებრივი ინსტრუმენტის გამოყენებით მიიღეთ კანდიდატების წარდგენისა და დანიშვნების პროცესების ყველა ეტაპის ყოვლისმომცველი და დეტალური რეგლამენტი, ისევე როგორც ქცევის კოდექსი, ინკლუზიური საკონსულტაციო პროცესის მეშვეობით და უზრუნველყავით მათი მკაცრი, სამართლიანი და თანმიმდევრული გამოყენება, მეტი გამჭვირვალობისთვის უნდა მოხდეს მათი გამოქვეყნება.
- ✓ უმრავლესობის ქვორუმის მოთხოვნა კანდიდატთა მოსმენების მთელი პროცესის განმავლობაში, რაც მკაცრად უნდა იყოს დაცული, აგრეთვე იმის უზრუნველყოფა, რომ მოსმენების მონაწილეები ყურადღებით ადევნებენ თვალყურს მიმდინარე პროცესს.

- ✓ შერჩევის მთელი პროცესის განმავლობაში კანდიდატებს მოეპყარით სამართლიანად და თანასწორად, ასევე მათთვის უზრუნველყავით პატივისცემით გამსჭვალული და ღირსეული პირობები;
- ✓ მოსმენებზე სხდომის თავმჯდომარემ თავის მოვალეობა უნდა შეასრულოს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის მკაცრი დაცვით და ყველა წევრისა და კანდიდატის მიმართ სამართლიანი დამოკიდებულებით, აგრეთვე უნდა განახორციელოს მოსმენების სათანადო კონტროლი, დისციპლინირებული და პატივისცემით გამსჭვალული პროცესის უზრუნველსაყოფად;
- ✓ სტანდარტებისა და სახელმძღვანელო მითითებების დაწესება დასაბუთებული გადაწყვეტილებების მოთხოვნასთან მიმართებაში, კანდიდატების შემოკლებული სიისთვის შერჩევის, მათი წარდგენის და პარლამენტისთვის მათთვის რეკომენდაციების გაწევის პროცესებისთვის, რათა მოხდეს შეფასებების სტანდარტიზება, რის შედეგადაც შეფასებები იქნება არსებითი, დამსახურებებზე დაფუძნებული და ინდივიდუალური.